ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4261496

ნომერი: AR1626063

თარიღი : 07.11.2018

გაცემის თარიღი : 13.11.2018

გაცნობის თარიღი : 14.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 47 , (ნაკვ. 35/4);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე მაქაცარია პ/ნ 19001053838
- ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლეონიძის ქ. N2

ორგანიზაცია:

- შპს "ყაზბეგი 47" კოდი: 204538599

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს.

აღნიშნულის შესაბამისად, დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა (თქვენს შემთხვევაში შესასვლელის წინ არსებული პორტიკი) და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე. ასევე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართი (თქვენს შემთხვევაში შესასვლელის წინ არსებული პორტიკი) შესაბამისი გაბარიტული ზომებით. პროცენტულობა დაანგარიშებულ იქნას არსებულ აბრებთან ერთად, შესაბამისად ფოტომონტაჟზე დაიტანეთ არსებული აბრების გაბარიტული ზომებიც.

2. "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა -> ..მესაკუთრეთა თანხმობის pdf ფაილი" - არ დგინდება სს „ბანკი რესპუბლიკას" თანხმობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თორნიკე გოგიჩაიშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ აქვს ასეთი სახის თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.